სამშაბათი, 29 ივნისი, 1904 წ.

1877 წლიწადი ოც-და-მერვე 1904

სამშაბათი, 29 ივნისი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 150 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 150

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 1 ივლისს.

---

**ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობა** აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთა და პატივისმცემელთ ახლად გარდაცვალებულ ექიმის

**სამსონ ბესარიონის ძე თოფურიასას,**

რომ ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის საავადმყოფოში გარდახდილ იქმნება პანაშვიდები. ცხედარის გამოსვენება დანიშნულია საკათედრო ტაძარში ოთხშაბათს, 30 ივნისს, დილის $10^1/_2$ საათზე. დაკრძალვა მოხდება მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის გალავანში. (1—6.—1)

---

## რედაქციისაგან

**პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.

---

## გაზეთ „ივერიის“ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

რედაქცია აუწყებს იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც მხოლოდ 5 მანეთი აქვთ წარმოდგენილი, შემოიტანონ დანარჩენიც 1 ივლისამდე, რათა გაზეთის გზავნა არ მოესპოთ.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

## თხზულებანი ია ეკალაძისა.

(ავტორის სურათით).

**ფასი ერთი მანეთი.**

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან.

(15—6).

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**მ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

---

ვიღებ საეკლესიო **პანკელეზის სამხატვრო საქმეებს.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს.

(15—14)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელის ბეღის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

ადმირალი სკრიდლოვი პორტ-არტურშია?—ვლადივოსტოკის ესკადრის განზრახვა.—კიდევ მოგონილი ამბავი.—გაიჯოუს ბრძოლის წინახანი.—გენერალ კუროპატკინის ძალა.—უცხოელების რჩევა.—ჩინეთის ყოყმანი.—წვრილი ცნობები.—რად იღუპებიან სარდლები?—თ. ბეშჩერსკის გულახდილობა.

ტოკიოდგან „დეილი ექსპრესს“ ატყობინებენ, აქა ჰგონიათ, ვითომც ნაღმის მმუსვრელ „ლეიტენანტ ბურაკოვს“, რომელიც ამას წინად პორტ-არტურიდგან ნიუ-ჯუანს მივიდა და ეხლა ისევ უკან დაბრუნდა, ადმირალი სკრიდლოვი მიუყვანია პორტ-არტურშიო. (რ. ვ.).

—

უცხოეთის გაზეთები ამბობენ, იაპონელები დარწმუნდნენ, რომ ვლადივოსტოკის ესკადრას ერთად-ერთი განზრახვა აქვს: ხელი შეუშალოს იაპონელთა ვაჭრობას, გაუძნელოს სურსათის გადატანა იაპონიიდგან მანჯურიაში, რომ ადმირალმა ტოგომ უნებურად თავისი ესკადრა გაჰყოს და ნაწილი პორტ-არტურს მოაცილოს. მაგრამ ადმირალი ტოგო ამას არ ჩაიდენს: რაც უნდა მოხდეს, ადმირალ ტოგოს ესკადრა თავის ადგილს არ მოშორდება, ვიდრე პორტ-არტურის ბედი არ გადასწყდება. ბერლინის გაზეთების სამხედრო მიმომხილველთ არა სჯერათ, რომ იაპონელებმა მალე მიიტანონ იერიში პორტ-არტურზე ხმელეთიდგან. აქ პირიქით ჰგონიათ, რომ პორტ-არტურთან იაპონელები კარგა ხანს დაბანდდებიანო. (რ. ვ.).

—

ავსტრიული გაზ. „ფრემდენბლადტი“ ამბობს იმ ხმების გამო, ვითომც რუსეთმა საფრანგეთს დაავალა, იშუამდგომლოს, უკეთუ რუსეთმა პორტ-არტური ნებაყოფლობით ჩააბარა, მეციხოვნეთა ჯარი განთავისუფლებულ იქმნასო:

მრავალი უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა იყო ომის დაწყებიდგან აქამომდე, მაგრამ ეს ამბავი მეტად დაუჯერებელია. პორტ-არტური მანამდე არ დაეცემა, ვიდრე იქ ერთი ლუკმა პური და ერთი თოფი მაინც მოიპოვება. მეციხოვნეებმა კარგად იციან, რომ ციხეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის ვიდრე 30,000 უიარაღო ჯარის კაცს. რუსეთის ჯარმა უკანასკნელ ორ კვირას საკმაოდ დაამტკიცა თავისი მამაცობა და თავგანწირულება, რომელზედაც არის დამყარებული ციხის მომავალი. (რ. ვ.)

—

ლონდონის გაზეთებს დეპეშით ატყობინებდნენ ამას წინად, გაიჯოუს მახლობლად ბრძოლა გამწვავდაო. ამბობენ, და შიცაოსთან რუსის ჯარის ბანაკი ძალიან გაამაგრეს და გენერალ კუროპატკინმა 30,000 მეომარი მიაშველაო. გაიჯოუს ჩრდილოეთად გენერალ ოკუს ჯარმა სიუჩაო დაიჭირა, სადაც რუსის მოწინავე ჯართან ბრძოლა აქვსო. გენერალი კუროკი ტანჩინიდგან აწვება. (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან და შანჰაიდგან ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ, იაპონელების ჯარში, რომელიც პორტ-არტურს უახლოვდება და ალყას არტყამს, 40,000 მეომარია, სათადარიგო არტილერიის გარდა. 15 ივნისს იაპონელებმა გადაიყვანეს კიდევ კერრის ყურეში 20,000 მეომარი და ელიოტის კუნძულებზედაც მზადა ჰყავთ 10,000 მეომარიო. (რ. ვ.).

—

იაპონელებმა რომ გაჰბედონ ხაიჩენსა და დაშიცაოს გალაშქრება, გენერალი კუროპატკინი დიდძალის ჯარით დაუხვდება. რუსებს ჯარი თანდათან ემატება.

„მორნ. ფოსტის“ ანგარიშით, გენერალ კუროპატკინს მანჯურიაში ამ ჟამად ჰყავს 203,000 მეომარი, რომელთაგანაც 75,000 ხარბინშია, 25,000—მუკდენს, 28,000—ლიაოიანს, 35,000 — ხაიჩენსა და 40,000 – დაშიცაოს. (რ. ვ.).

—

რუსის ჯარმა სამხრეთიდგან ეხლა გაიპინისკენ დაიწიაო,—სწერდნენ გერმანული გაზეთები,—ხოლო გაიჯოუს ჩრდილოეთად 8 მილის მანძილზე ოკუს ჯარი სდგას და კუროკის ჯარიც ტანშისკენ მიდის, რომ რუსის ჯარს გაიჯოუს ჩრდილოეთად გზა გადაუჭრასო. თუმცა კოკისპირული წვიმა მოდის, მაგრამ იაპონელები მაინც წინ მიდიანო. (პ. ვ.).

—

ბერლინის მწერლობა იმ აზრისაა, რომ გენერალი კუროკი რუსის ჯარს იტყუილებს. გაზეთები ურჩევენ რუსებს, ფრთხილად იყვნენ. «ნაც. ცაიტ.-ს ეჭვი აქვს, რომ გენ. კუროკიმ გაჰბედოს რუსის ჯარის მთავარ-ბანაკზე გალაშქრება. გენერალი კუროკი გვერდიდან მოუვლის. ეს განზრახვა რომ არა ჰქონდეს, უღელტეხილებს არ მიატოვებდა. გენერალი კუროკი სამხრეთისაკენ დაიწევს, რომ გენერალი კუროპატკინიც იქით გაიტყუოს. უეჭველია, კუროკის უამინდობის იმედი აქვს, როდესაც თავისუფლად და შეუმჩნევლად გადაიყვანს გადმოიყვანს თავისს ლაშქარს. [illegible] ტეხილებზე მხოლოდ მცირე ზ[illegible]ვება ექმნებათ და ბოლოს იაპონელები სულ ჩამოეცლებიან. შესაძლოა, იაპონელები განგებ ავრცელებენ ტყუილ ცნობებს, რომ მოპირდაპირე აცდინონ. ეს სტრატეგიული ხერხია, რომელსაც რუსები უნდა ერიდნებოდნენ. (პ. ვ.).

—

«ნაც. ცაიტ.». ამბობს, ავდარი ვერას დააკლებს გენერალ კუროპატკინის ჯარს, რადგან მოელოდა და მოემზადაო. გენერალი კუროკი რუსის ჯარს სამხრეთისკენ იტყუილებს და თითქმის ახერხებს კიდეც. ამას ამტკიცებს ციმბირის მეოთხე კორპუსის გასტუმრება სამხრეთისკენ. ხოლო იაპონელები არ ისურვებენ, რომ დიდი ომი სამხრეთით მოუხდეთ. შესაძლოა, იმ დროს, როდესაც იაპონელები უღელტეხილებს დაიჭერენ სამხრეთისაკენ და რუსის ჯარს გაუმაგრდებიან, კუროკის ლაშქარი რუსის ჯარს აუვლის და მუკდენ-ხარბინისაკენ გასწევს. (ნ. ვ.).

—

იაპონიის ელჩმა უშედამ განუცხადა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, იაპონია ამ ცოტას ხანში პორტ-არტურის აღებას მხნედ შეუდგებაო. რადგან იაპონია დარწმუნებულია, რომ უთუოთ გაიმარჯვებს, იმასა სურს გაიგოს, გაგზავნის ჩინეთი თავისს ჯარს აღებულ ციხის დასაცველად, თუ ამას ისევ იაპონიას მიანდობს დროებითო. ჩინეთის სამინისტრომ გადაწყვეტილი პასუხი არ მისცა და მხოლოდ განუცხადა, პასუხის-გებას ვერ ვიკისრებთ, ვიდრე იაპონია თავის განზრახვას არ შეასრულებსო. ჩინეთის მთავრობა იმან შეაფიქრიანა თურმე, რომ იაპონელები ბოლოს დროს როგორღაც შეჩერდნენ და რუსეთის ფლოტმა-კი მოქმედება დაიწყო, თუმცა იაპონელები არწმუნებდნენ, რუსის ფლოტი აღარ არსებობსო. კერძოდ პრინცმა ცინმა აცნობა იაპონიის ელჩს, ჩინეთის მთავრობა გადაწყვეტით ვერას იტყვის, ვიდრე იაპონელები პორტ-არტურს არ აიღებენო. ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა გადასწყვიტა, რომ საქმეებს ჩამოაჩეს და სახელმწიფოს მართვა მთლად იმპერატორს მიანდოს. ეს ამბავი იმას უნდა მოასწავებდეს, რომ მალე ჩინეთის ერი აჯანყებას აპირებს და იმპერატრიცას არა სურს პასუხის მგებლობა იკისროს ამ შემთხვევაში. (პ. ვ.).

—

შანჰაიდგან დეპეშით ატყობინებენ «დეილი ტელეგრაფს»: ჩინელთა ჯარის სარდალმა გენ. მამ, რომელიც დაბანაკებულია მანჯურ[illegible]ის საზღვარზე, ორი სათადარიგო ბრიგადა გაჰგზავნა ძინ-ჯოუს, სადაც ჩინელების ჯარი ბლომად არისო. (ნ. ვ).

—

ინკოუდგან დეპეშით იწერებოდნენ: ავდრიანობას უბედურება მოჰყვა. ერთის რაზმის შტაბი შტონოსა დაა ქუთიაძის შორის მდგარა. 15 ივნისს ერთბაშად ყვირილი დაუწყიათ: «თავს უშველეთო!» ჯარის კაცები კარვებიდგან გამოცვივნულან და დაუნახავთ, რომ ნიაღვარი მოდის არშინ-ნახევრის სიღრმისა. წყალი ბანაკს მიაწვა, ეტლები, ცხენები და კაცები მოიტაცა. ფულის ყუთიც გააქანა. დარაჯმა ტანისამოსი გადაიგლიჯა, [illegible] წამლის აბგა გადაიგდო მხარზე, [illegible] დაავლო ხელი და წყალში [illegible]. დიდხანს სდია ყუთს და [illegible] ერთს მაღლობზე მოიმაგრა [illegible]. რუმინიის სამხედრო აგენტმა [illegible] ხარლამპიევმა წყლით სავსე [illegible] გასჭრა და ისე გადარჩა. კინ[illegible] კორპუსის უფროსი დაიღუპა, ჯარის კაცებმა გამოიყვანეს. (ნ. ვ.).

—

სახელმწიფო ბანკმა ქაღალდის ახალი ფული გამოსცა 20.000,000 მანათისა. სულ ამ ჟამად 740.000,000 მანათის ქაღალდის ფული მუშაობს; ამ წლის დასაწყისს-კი 630.000,000 მანათის ქაღალდის ფული ყოფილა. 1 იანვრიდგან 16 ივნისამდე სახელმწიფო ბანკს ოქროს ფუ-

ლი მოჰმატებია. წინად იყო 732.900,000 მანათისა, ეხლა კი 833.500,000 მანათისა არის, ე. ი. 100.600,000 მეტი. ამავე დროს საზღვარ-გარედ ოქროს ფული 166.600,000 მანათ. 100.700,000 მანათზე ჩამოსულა. მაინც ამ ნახევარ წელს სახელმწიფო ბანკს 34.700,000 მანათის ოქრო მომატებია. (პ. ვ.).

## რად იღუპება სარდლები?

რადგან ეხლანდელი ჯარი ახალგაზდობისაგან არის შემდგარი, რომელსაც გამოცდილება სრულიად არა აქვს და წინანდებულად გამოცდილი და დახელოვნებული, დიდის ხნის ნამსახური დაბალი ჯარის კაცები აღარა ჰყავს, ამიტომ ეხლანდელ აფიცრებს მეტი მოვალეობა აწევთ, მეტი მოთხოვნილება და უიმითოდ დაბალი ჯარის კაცები გაჭივრებაში სულ იბნევიან. ამისგამო ეხლანდელ ომში კორნეტისა და პრაპორჩიკის სიკვდილი და დაჭრაც კი დიდი დანაკლისია.

საფრანგეთ-პრუსიის ომში, 1870-1871 წ., პარიჟის მახლობლად, პრუსიელებს ერთის სოფლის სასაფლაო დაეჭირათ. ფრანცუზები დასცემოდნენ და ნემცები სასაფლაოდგან გაეძევებინათ.

— ეგ როგორ მოგივიდათ, რომ სასაფლაო მტერს დაუთმეთო?— ჰკითხა სარდალმა დაბალ ჯარის კაცებს.

— აფიცრები დაგვიხოცეს და ჩვენ აღარ ვიცოდით, რა უნდა გვექნა მიუგეს სალდათებმა.

თუ წინად ესე იყო როდესაც დაბალი ჯარის კაცები სამხედრო ბეგარას დიდხანსა სწევდნენ და გამოცდილებას იძენდნენ, დღეს აფიცრებს ბევრად მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამიტომ არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ საზოგადოების წუხილი იმის გამო, რომ ეხლანდელს ომში აფიცრობა მრავლად იღუპება, როგორც იყო ტიურენჩენს, ძინ-ჯოუსა და ვაფანგოუსთან.

ხოლო მოკლულ და დაჭრილ აფიცერთა რიცხვი შედარებით არც ისე დიდია, როგორც ზოგსა ჰგონია, და არც მოულოდნელია, ამბობს «მოსკოვ. ვედ»-ი.

ვაფანგოუსთან, მაგალითად, ყველაზე მეტად პირველი აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა ბრიგადა დაზიანდა, ხოლო დაჭრილ და მოკლულ აფიცერთა რიცხვი 38% არ აღემატება. პლევნასთან-კი მესამე იერიშის მიტანის დროს დაზიანდა აფიცრების 50%—60%, გორნი დუბნიაკთან 48—50%, მარს-ლა-ტურთან პრუსიელ აფიცრების 74% და დაბალ ჯარის კაცების 44% ს-პრივთან მსროლელ ბატალიონში—100% აფიცრებისა და 44% დაბალ კარის-კაცებისა; კენიგრეცთან სკორპუმმა 20,000 მეომართაგან დაჰკარგა 279 აფიცერი, 10,000 დაბალი ჯარის-კაცი და 23 ზარბაზანი.

ეხლანდელი გაუმჯობესებული იარაღიც ამაზე უარესს ხომ არ სჩადის. მაშ მოულოდნელი და გასაკვირველი აქ არა არის რა.

ეს კი მართალია, რომ ეხლა ბევრი აფიცერი და კომანდრები იღუპება ვაფანგოუსთან, მაგალითად, რვა კომანდერი იყო ბრძოლაში ‍ მათგან ერთი მოჰკლეს, ორი დასჭრეს და ერთი ტყვედ წაიყვანეს, ე. ი, 50% დააკლდა.

ამისთანა შემთხვევაში ჯარი თავის სულსა და გონებას ჰკარგავს, რადგან მხოლოდ უფროსმა იცის თავის ჯარის ძალა, მისი მოწყობილება და მოვალეობა. რაკი თავი აღარა აქვს და ხელმძღვანელი აღარა ჰყავს, ჯარი იბნევა, ერთობა ეშლება და ყველა განკერძოებით იბრძვის.

რა მიზეზია, რომ ბევრი პოლკის უფროსი გვეკარგება?

პირველად ის, რომ პოლკის უფროსები მშვიდობიანობის დროს სხვარიგად მოქმედობენ. ისინი საერთოდ პოლკის გამგენი კი არ არიან, არამედ თექვსმეტისავე როტისა. ყოველ ბატალიონისა და როტის წვრილმან საქმეში ერევიან და თავისებურ განკარგულებას აძლევენ. ომის დროსაც წვრილმანებით არიან გართულგატაცებულნი და, რაც საყურადღებო და საფიქრებელი. ის კი ავიწყდებათ, ანუ ვერ მოუსაზრებიათ; ერთს ბატალიონსა ანუ როტაში რომ ჩადგებიან ომის დროს, დანარჩენი ნაწილი პოლკისა ავიწყდებათ და მხოლოდ ამ ერთს როტასა და ბატალიონზე ჰფიქრობენ.

მეორე მიზეზი ის არის, რომ იაპონელები საგანგებოდ ნადირობენ რუსის ჯარის უფროსებზე და შორიდანაც-კი იმ ადგილს უფრო უმიზნებენ ტყვია-ყუმბარებს, სადაც დროშაა ამართული. ამით ისინი პოლკს სულსა და გონებას აცლიან.

მესამე მიზეზი რუსის ჯარის უფროსების განუსაზღვრელი სიმამაცე და თავგანწირულობაა. ბრძოლის დროს ისინი თავს არა ჰზოგავენ, თავის ჯარს წინ მიუძღვიან და თვითონაც ბრძოლაში ერევიან, როგორც კერძო მეომარნი.

ჯარის უფროსნი თავდაჭერილნი უნდა იყვნენ და მთლად თავის ჯარს გონიერად ამოქმედებდნენ. თითონ მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში უნდა ერეოდნენ ბრძოლაში, როდესაც მთლად თვისი ძალა მტერს შეალიეს და ორიოდ მამაცის დახმარება საქმეს უეჭველად გამოასწორებს. (მ. ვ.).

## თ-დ მეშჩერსკის გულახდილობა.

ამას წინად «ნოვ. ვრემ»-ში სამსახურიდგან გამოსული მეზღვარი ლიხაჩევი სწერდა ეხლანდელ ომის გამო,—რუსეთი უანგაროდ მოქმედობსო. ამის გამო გულახდილი თავადი მეშჩენსკი სწერს «გრაჟდანინ»-ში:

ცოდო უნდა ვაღიარო, როდესაც ეს გაცვეთილი ფრაზა წავიკითხე, უწმაწურობის ქრესტომატიიდგან ამონაგლეჯი, ზიზღმა ამაკანკალა...

სადაც უნდა წახვიდე, ყველგან რუსი და რუსები შეგეფეთებიან, რომელთაც მხოლოდ ანგარება ამოძრავებს. ჩვენ კი გვარწმუნებენ, ვითომც ამ რუსთა კრებული ანუ რუსეთი უანგაროდ ირჯებაო...

რა ფილოსოფია იმალება ამ უწმაწურ ფრაზაში?

იქნება იმის თქმა უნდათ, ვითომც რუსეთი უმანკო და უბიწო სახელმწიფოა და «მკალითა და ველურ თაფლით» იკვებება, რათა უანგარობისათვის წამებული სადიდებლად შეიქმნეს? მე გონია, ასეთი მსჯელობა სიცილს გამოიწვევს.

რუსეთი უანგაროა! მაშ, პოქოლუსტა, მითხარით, რა მოსაზრებითა და მისწრაფებით გადაიქცა რუსეთი უდიდეს სახელმწიფოდ, დედა-მიწის ზურგის ნახევარი დაიჭირა და თავისი ყოველ-წლიური ბიუჯეტი 2 მილიარდამდე აცოცა? ნუ თუ ეს უანგარობით მოუვიდა?

დავთანხმები, რომ თათრებს უანგაროდ ვეომეთ, რომ ჩვენი თავი გვეხსნა მონობისაგან, უანგაროდვე ვეომეთ თურქებს, რომ ჩვენი მოძმენი-ბრატუშკები გაგვენთავისუფლებინა. ხოლო ნუ თუ ციმბირიც, მალოროსიაც, ნოვოროსიაც, ყირიმიც, კავკასიაც, პოლონელთა სამეფოც, დასავლეთის მხარეც, ოსტზეის მხარეც და ფინლიანდიაც სულ უანგაროდ შევიძინეთ? ხომ ყველა გადიხარხარებს, ვინც კი ამას გაიგონებს. და ეს სათხუნჯო ფრაზა მარტო გაზეთებში კი არ იწერება, არამედ მრავალჯერ ჩვენ დიპლომატებისაგანაც გაგვიგონია: «რუსეთი უანგაროა», და მომგონებია ტახტის აზნაური, ჯიბე-ქარიანი, რომელმაც მდიდარ ვაჭრის ქალი შეირთო უანგაროდ, თავის გვარის ადსამაღლებლად, ანუ ის ჩარჩ-მუხრუჭი, რომელმაც მეზობლისაგან 3000 დესეტინა მიწა შეისყიდა უანგაროდ თავის მამულის შესაფარგვლელად...

არ არის საზოგადოებაში ისეთი კაცი, რომელსაც თავისი კერძო ანგარიში უარ-ეყოს; არ არის და არც შეიძლება ისეთი სახელმწიფო არსებობდეს, რომელიც სხვა სახელმწიფოთა შესახებ ანგარებით არ ხელმძღვანელობდეს.

და რომ არსებობდეს კიდეც ესეთი სახელმწიფო, იმას სხვა სახელმწიფოები შესჭამენ, ანგარებით გატაცებულნი, და ნეკროლოგსაც დაუწერდნენ: «განისვენა უჰუნურობისა გამო». საერთაშორისო დამოკიდებულებაში უანგარო სულელად მიაჩნიათ.

და ჩვენს დედა-რუსეთს ამისთანა სისულელე რომ არასოდეს არ ჩაუდენია, ამას ჩვენი ისტორია მოწმობს. ცხადად სჩანს: იუ რუსეთმა დედამიწის ზურგის ნახევარი დაიპყრო, ეტყობა, ანგარება ჰქონია და თავის განზრახვის განხორციელებაც შესძლებია.

## ტფილისი

*** განზრახვა აქვთ, თამბაქოსა და წეკოს მოსპონ აქციზი, რათა იმისგან მომზადებულ იქმნას ექსტრაქტი სასოფლო მეურნეობის მავნე მწერთა ამოსაწყვეტად. ამის გამო მიწად-მოქმედების დეპარტამენტი შეეკითხა კავკასიის სასოფლო - სამეურნეო საზოგადოების საბჭოს და სთხოვა შეატყობინოს, რა აზრისაა საბჭო ამის შესახებ. ამასთანავე, დეპარტამენტი სთხოვს, თავისი აზრი, რაც შეიძლება, ჩქარა შეატყობინოს, რათა გაუწერავ ხარჯების უმთავრეს სამმართველოში არ დაგვიანდეს პასუხის გაგზავნა, როგორც თამბაქო-მახორკისა, ისე მაგარ სასმელების სახაზინოდ გაყიდვის შესახებაო.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ თავისს წარმომადგენელად სასანიტარო აღმასრულებელს კომისიაში აირჩია ექიმები: გედალინი, გულულიანცი და მონინი.

*** ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლის უფროს კლასების მოწაფენი 8 იკლისს საექსკურსიოდ მიდიან დევდორაკის საყინულეზედ.

*** ტფილისის სახაზინო თეატრი მომავალ 1904—1905 წ. სეზონში იჯარით აიღო საოპერო დასისათვის მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტმა ბ-ნმა დონსკოიმ. ამ დღეებში ბ-ნმა დონსკოიმ სახაზინო თეატრის დირექციას გამოუგზავნა 4,000 მან. ბეი.

*** ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომისიამ დაადგინა, რადგანაც ქალაქში საკმაოდ ბლომად მოჰრეკეს საკლავი საქონლები და ხორცი ეხლა წინანდელზედ ბევრია და უფრო კარგის ხარისხისაც, დაუკლოს უკვე არსებულს ნიხრს და გუშინ, 28 ივნისიდგან ასეთი ნიხრი დააწესა ხორცზედ: 1-ლის ხარისხის ძროხის ხორცი გაიყიდება 11 კაპ. გირვანქა, მე-2 ხარისხისა—10 კაპ., მე-3 ხარისხისა—8 კაპ.; ცხვრის ხორცი გირვანქა 12 კაპ.; ტვინი—10 კაპ,, ენა—20—25 კაპ., გული —10 კაპ., წყვილი თირკმელი -15 კაპ., თავი— 3 კაპ. გირვანქა, თირკმლის ქონი—11 კაპ., დანაყილი საკატლეტე ხორცი—თითო ცალი 4 კაპ., დუმა 12 კაპ. გირვანქა, დამზადებული კატლეტი—თითო ცალი 5 კაპ., ბიფშტექსი—20 კაპ. და ანტრეკოტი— 15 კაპ.

*** შემახიდგან «ნოვ. ობოზრ.»-ს სწერენ, რომ იქ 24 ივნისს, ნაშუაღამევის 1-ლ საათ. და 15 წუთზედ, საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა ყოფილა. უბედურება არაფერი მომხდარა და მცხოვრებნიც დამშვიდებით დახვედიან ამ მოვლენას, მაგრამ თათრის უბანში მაჰმადიანთ ასტეხეს ამ დროს ჩვეულებად შემოღებული თოფის სროლა; ამან კი უფრო შეაშინა მცხოვრებნი, ვიდრე მიწის ძვრამ.

*** წელს ბესარაბიის მევენახეობის საშუალო სასწავლებელი გაათავა ოთხმა ქართველმა: ვ. მჭედლიშვილმა, კ. დარახველიძემ, ტ. ბააკაშვილმა და ვ. კინკაძემ.

*** კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამიერიდგან ისპობა შორეულ-აღმოსავლეთში თავისუფალ მეომრად წასვლა და წასვლის მსურველთა თხოვნები უყურადღებოდ იქმნება დატოვებულიო.

*** შაბათს, 26 ივნისს, პირველი სხდომა ჰქონდა ტფილისის საქალაქო სასანიტარო აღმასრულებელს კომისიას, ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობითა და ტფილისის პოლიცმეისტერის მონაწილეობით. კრებაზედ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა ბ-ნმა ნ. გ. სტეფანოვმა წაიკითხა 1903 წ. 11 აგვისტოს უმაღლესად დამტკიცებული წესები ხოლერასთანა და შავ ჭირთან საბრძოლველად საჭირო ღონის-ძიების მიღების შესახებ. ბოლოს ბ-ნმა სტეფანოვმა კრებას გააცნო მის-მიერ შედგენილი სამის თვის ხარჯთააღრიცხვა (1 ივლისიდგან სეკდემბრის გასვლამდე) იმ ხარჯებისა, რაც ხოლერასთან ბრძოლას დასჭირდება. ამ ხარჯთააღრიცხვით, საჭიროა გადადებულ იქმნას 20,820—25,500 მანეთამდე. სხვათა შორის, ქალაქმა ღარიბთათვის უფასოდ დასარიგებლად უნდა იყიდოს აბანოს ბილეთები. კომისიამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. სასანიტარო აღმასრულებელ კომისიის დადგენილებათა აღსრულება მიენდო კომისიის წევრს თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვსა და სასანიტაროსამკურნალო ინსპექტორს ნ. გ. სტეფანოვს.

*** ამ რამდენისამე დღის წინად მატარებლით მოდიოდა სამტრედიიდგან ვილაც უცნობი კაცი, შეხედულობით უფრო აისორს წააგავდა; ქართულს კარგად ლაპარაკობდა. რიონის სადგურს რომ მოუახლოვდა მატარებელი, უცბად ამ კაცმა მოჰხვია ხელი ერთ მოხუცებულს მგზავრს და კანკალით ევედრებოდა: «შენი ჭირიმე, მიშველე, მეშინიანო». მგზავრებმა ყურადღება მიაქციეს და შეეკითხნენ: «კაცო, რისა გეშინიან ამოდენა ხალხშიო». უცნობი ამბობდა, ხანჯლისა მეშინიანო, და თან შველას ევედრებოდა მოხუცებულს. მატარებელი გაჩერდა. მოხუც კაცს უნდოდა გადმოსვლა, მაგრამ

## ფელეტონი

### ნახული და გაგონილი.

### X

### ვარძია.

15 აგვისტოს იცის ვარძიობა, ანუ ჩვენებური მარიამობა. მინდოდა ამ დღეს მონასტრის ნახვა და კიდეც ავისრულე სურვილი. ჯავახეთის მრავალი სოფლები გავიარე და ს. გოგაშენს შევისვენე ჩვენებურ ქართლელ მღვდლის მ. გიორგი კარბელაშვილის ოჯახში. გოგაშნიდან ვარძია ისე სჩანს, თითქოს ხელის გულზე გაქვს გადაშლილიო. სულ ბევრი მონასტრამდე სამი ვერსი იყვეს სასიარულო, მაგრამ უშველებელი დაღმართია და მისი ჩავლა ცოტა არ იყვეს მაღონებდა. ერთხელ რაკი გამოვცადე ს. აგარიდან ვარ... ს ჩასვლა, სწორედ მიძნელდებოდა საქმე, ... მცა გამოცდილი მხლებელი, ს. აფნიიდა... პოლიციო დარაჯი, გზას მიადვილებდა, ... აშნელებს ხომ სიცილად არ ჰყოფნიდათ ... ეჭვი და შიში.

— ბატონო, რა ... ჯა თქვენა ბძანდებით, თუ გაგიჭირდებათ ... ულ ხელით ჩაგიყვანთო.

მართლაც, ბილიკი შედარებით ... არიასათან ღვთისნიერი აღმოჩნდა. ... მუხლთ მეკეცებოდა და წელი მწყდებოდა. ხშირი ბინდი იყო, მონასტრის აღმართს რომ შევუდექი და დაღლილობისაგან სიარულს ველარ ვახერხებდი. არ ვარგივართ ეხლანდელი ინტელიგენტნი. რაკი ევროპიელივით მიჩვეული არა ვართ ფეხით სიარულს, ორ ნაბიჯს გადავდგამთ თუ არა, ვაისა და ვუის უნდა მოვყვეთ. მხლებელისა და თარაქამის დახმარებით, როგორც იყო, მივაღწიე მამა სიმონის სენაკს და კუტივით დავეგდე ტახტზე.

ეხლაც კარგად მახსოვს მოღიმარე სახე ამ ახოვანის თარაქამისა. შორიდანვე შეიტყობ, რომ ბუნების მოუხეშავი შვილია და ნეტა რა ძალამ მოიყვანა ვარძიას ღამის სათევად? ღვინოს ეგ არა სვამს და არაყს, ქრისტე მავას არ მიაჩნია და ვარძია; მაშ რა იზიდავს?.. უნდა გენახათ, რა ნაირად გაუბრწყინდა სახე, ნაცნობი ნიკო (ჩემი დარაჯი) რომ დაინახა. «ხოშ გიალდიო», მხიარულად მიესალმა და მაგრად ხელი ჩამოართვა. ნიკომ უკმეხად რაღაც წასჩურჩულა ოსმალურად, ალბად ამცნო ჩემი ვინაობა, და თარაქამას მხიარული სახე უცბად შეეცვალა. ნიკოსავე თხოვნით, მეორე ილიაში მტაცა ხელი და ციმ-ციმ მიმიტანეს არქიმანდრიტის სენაკთან.

ხალხი ბუზივით ირეოდა ღვთის-მშობლის ეკლესიის გარშემო მდებარე მცირე მოედანზე. საოცარია, რატომ არავინ იჩეხება აქედან? მოაჯირი რომ ჰქონდეს სამხრეთიდან, კიდევ ჰო, მაგრამ მოედანი შემოუზღუდავია, უბრალო ხარიხაც არა აქვს შემოვლებული და მაინც უბედურება არა მომხდარა-რა მარიამობას.

სიბნელის გამო ვერ ვარჩევდი სენაკის ფანჯრიდან, რა ეროვნობის ხალხი ირეოდა ეკლესიის წინ. ყველაზე ძლიერ ამის ...მოცნობა მაინტერესებდა. ნუ თუ შორი... ქართველობა დაიძრა ვარძიის თაყვანის ...მლად და თან დროს გასატარებლად? მაგ... არა, შემდეგ გამოირკვა, რომ ყველაზე ნა... ჯავახეთის ქართველობა იყო, უფრო კი ...თები, თარაქამა, სომხობა, მაჰმადიანობა, ბერძნები და სხვა. ასე გაშინჯეთ, ერთი ახა...კიხელი ებრაელიც კი ვნახე მეორე დღეს.

მამა სვიმონი სენაკში არ გახლდა, ეკლესიაში ხალხს ამწყალობებდა. ეხმარებოდნენ გოგაშნელი მოძღვარი გ. კარბელაშვილი და საროელი ს. უსტიაშვილი (კახელია), სოფელ საროდან (20 ვერსია) შვილით ფეხით მოსული. როგორღაც ვკითხე მამა სოლომონს, რა გაჭირვება გადგა, რომ ამ სიცხე-პაპანაქებაში ფეხით წამოსულხარ მეთქი. წმ. დავით გარეჯელის უდაბნოში აღვიზარდე, იქ ვისწავლე ღვთის-მსახურება და გალობა და ვერ გავბედე ეტლით, ან ცხენით ვარძიას მოსვლაო. დღევანდელი «განათლებული» კურსოვნიკები, «გაწაფულნი» ხრიკებით აფერადებულ ბლაჯვნაში, თქმა არ უნდა, ამ გვარ პასუხს არ გვაღირსებენ. ვერც მოიცლიან, ღვთის წინაშე, შემოსავლიან «პრიხოდების» ძებნას უნდება მათი დრო და ენერგია.

მამა სოლომონი წინადაც მენახა ს. ტოლოშა ხალხი იყო დასაფიცებელი. ფიცის ქაღალდი დავიწყებოდათ, როგორც იყო, მოკლედ და უთავბოლოდ გარდასცეს შინაარსი ფიცისა მ. სოლომონს. სწორედ დასტკბებოდით, რომ გენახათ, რა ღრმა და წმინდა ქართულით დააფიცა მ. სოლომონმა ხალხი. ახალ სკოლის «კურსმა» ჯერ შებღალა და შემდეგ ცივ სამარეში ჩაჰფლა ღრმა და სასოებიანი ქართული.

არქიმანდრიტის სენაკში ვიგრძენ სულის «ობლობა». ნაცნობი ინტელიგენტი, ან ისე ცოტათი მაინც განათლებული ჩემიანი არავინ იყო, რომ საუბრით წარსულსა და აწმყობე გული გადაგვეყოლებია. სენაკში ბლომად შეიკრიბნენ. ფალავანდიშვილები (ფრონქლები არ გეგონოთ), მაგრამ რა? ამათ ქართული არ იციან, მე კიდევ ოსმალური. გულზე მოწოლილ ბოღმა-დარდს მხოლოდ სამშობლო ენით იტყვი, უცხო ენა არ უხდება. საუბარი რომ გაჩაღდეს, საჭირო ისიცაა, რომ მომუსაიფეს შენსავით შენი დარდი გულს უსერავდეს და უღარავდეს. თუ შენი დარდი და ჭირი, ან აღფრთოვანება და ტრფიალი მომუსაიფეს არაფრად მიაჩნია, საუბარი «სალონურ» უსულ-უგულო ყბედობად გარდაიქცევა. ასეთს მუსაიფს ისევ ისა სჯობია, იგი დარდი გულის სიღრმეში ჩაიკლა.

მეც სწორედ ასე მოვიქეცი. ფალავანდიშვილებში ერთი ახალგაზდა ბედი ერია, ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი. გავაბით უაზრო, წყალ-წყალა ლაპარაკი, სწორედ ისეთი, როგორც აი ჩვენმა «ინსტიტუტკებმა» იციან ავსა და კარგ ტაროსზე. ყბესა და ტუჩებს ვაცმაცუნებდით, მაგრამ, ვგონებ, ერთმანეთისა არა გვესმოდა რა. მე სულ იმას ვფიქრობდი: უცნაური ყოფილიხარ, ჩვენო ბედო. ვინ იცის, ამ ყმაწვილის რამდენმა წინაპარმა რაოდენი სისხლი დაანთხია, რაოდენი ტანჯვა-ვაება გამოიარა ვარძიისა და საქართველოს საბედნიეროდ! დღეს კი აგერ ეს სასიამოვნო სახის ჭაბუკი (ჯავახეთის ფალავანდიშვილები ახოვანი უზარ-მაზარი ტანისანი არიან), უმაღლესი სწავლა-განათლებით შემოსილი, სდგას ჩემ წინ, მიყურებს პატივისცემით, თითქმის მოკრძალებით, რადგან ბედმა და შემთხვევამ მცირედად ცხოვრების ზედა პირზე შემასკუპა, მაგრამ ჩემი დარდი არ ესმის, გულმწვავი სიტყვა ვერ უთქვამს და ჩემგანაც მარილიანი, მხნე და გულს მისაწვდომი პასუხი ვერ მიუღია. ვართ ისე, თითქოს ახლო, მაგრამ ისე დაშორებულნი, რომ ერთმანეთისთვის სიტყვა ვერ მიგვიწვდენია. ვხედავ, რომ მისი აზრი თავს ევლება ბაქოში ტაგიევის მიერ ახლად დაარსებულს რუსულ-თათრულს სკოლას, სადაც მუსულმანთა ქალნი იზრდებიან (ფალავანდიანთ ქალნიც სწავლობენ), აზრი და ფიქრი კიდევ ვერ განშორებია ვარძიის წარსულს «დიდებას» და დღევანდელს «სილაჩრეს», ოდეს ჩვენს «მხნე ქალებს» ერთი საქალებო სკოლა რა არის, ისიც ვერ გაუმართავთ, რომ ქართველი ქალი «ქართულად» გაზარდონ. ერთის სისხლისა და ხორცისანი ვართ მე და ეს ჭაბუკი, მეგრამ შეხეთ მუხთალ ბედსა, რა ნაირად დაგვაშორა ერთმანეთი! ნეტა დაიბადება ჩვეში ისეთი გენიოსი რომელმაც შესძლოს გასდოს ჩვენ შორის შემაერთებელი ხიდი? სწორედ უხილავს, მაგრამ ჩაუქრობელს ლამპარს აანთებს ყოველი ქართველის გულში ის «დიდებული» ხუროთ-მოძღვარი, ვინც შეიძლებს ისეთი ხიდის აშენებას, რომელზედაც შეეძლოთ სიარული ერთად, ძმურად ერთის ევროვნულ საქმისათვის ტომით და სისხლით ქართველებს, ხოლო სარწმუნოებით სხვა და სხვას.

თორემ, აბა, რასა ჰგავს ესა? რამოდენა ქართველს უყო პირი სარწმუნოებამ «ჩვენს დამღუპველს ოსმალეთისკენ»? ისევ მომაგონდა პოეტი. ქართველი ერის გულთა მხილვანი სწორედ ესენი არიან, ისე მკაფიოდ და სიტყვის მოჭრით აღნუსხავენ ხოლმე მის ჭირსა და ტფრიალს, ზოგი ლექსით, ზოგი კიდევ პროზით· აბა, მოისმინეთ, რა სევდა მოსწოლიოდ პოეტს, ქართველი იანიჩარი რომ უხილავს.

აგერ რაზმიდამ ისკუპა ყარაბაღულმა მერანმა,

უცნობი არ უშვებდა; ჩაეშველნენ მოხუცს დანარჩენი მგზავრები და რის ვაი-ვაგლახით გააშვებინეს ხელი. მოჰყვა უცნობი ერთ საშინელ ტირილსა და ღრიალს. გადმოხტა მატარებლიდგან და გაიქცა სადგურისკენ ყვირილით: „გოროდოვოი, გოროდოვოი“... მთელმა ხალხმა იგრიალა მატარებლიდგან და დაუწყო ცქერა. ჟანდარმებმა შეიპყრეს, ეგონათ, გიჟიაო. მატარებელი დაიძრა. ხალხი დალაგდა თავ-თავის იდგილას, მაგრამ, როდესაც გასინჯეს თავიანთი ბარგი, ზოგს პალტო აღარა ჰქონდა, ზოგს ჩემოდანი, ზოგს ხურჯინი და სხვ.; ასე ოც ნივთზედ მეტი დაიკარგა. ბოლოს კი მიჰხვდა ხალხი, რომ იმ უცნობმა განგებ ითამაშა ეს კომედია, რომლითაც ისარგებლეს იმისმა ამხანაგებმა. ესეც ახალი ოინი!...

*** სავაჭრო სააგენტომ წინადადება მისცა სოფლის მეურნეთ, ზომიერის ფასით მოგაწოდებთ საჭირო ცნობებს იმის შესახებ, თუ ევროპაში რა საქონელს რა და რა ფასი აქვსო. ზოგიერთი სოფლის მეურნე დასთანხმდა ამ წინადადებას და სთხოვა სავაჭრო სააგენტოს, რომ ნაწილ-ნაწილად გადაახდევინოს ფასი და ამასთანავე საფასურად ნაღდ ფულის მაგიერ სააგენტომ სამეურნეო ნაწარმოები აიღოს.

*** რადგანაც სპარსეთში ხოლერა გაჩნდა, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობაც შეუდგა სასანიტარო ღონისძიებათა მიღებას. ამ ჟამად რკინის გზაზედ უკვე არსებობს სასანიტარო კომისიები. რკინის გზათა უფროსმა, ინჟენერმა ი. კ. ივანოვსკიმ განკარგულება მოახდინა, რომ კომისიები მოქმედობას შეუდგნენ. რკინის გზის უფროსის განკარგულებით, სადგურზედ ყველგან ადუღებული წყალი უნდა იქონიონ სასმელად.

*** 22 ივნისს, როგორც «ჩერნ. ვესტ.»-ი გადმოგვცემს, ლანჩხუთში მოუკლავთ აკეთის სოფლის საზოგადოების მწერალი მიხეილ ლომაძე. მკვლელი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** მოგვივიდა ახალი ქართული პატარა წიგნაკი «მოულოდნელი სიკვდილი», ლექსი ანეტა კაპანაძისა. წიგნი თუმცა ძლიერ პატარაა (15 გვ.), მაგრამ ქ-ნ ავტორს რადაც მიზეზით «მეორე ტომად» გამოუცია. წიგნი შედარებით ძლიერ ძვირად ჰღირს—ორ შაურად.

*** ამ დღეებში ჩუღურეთში მთელი ოჯახი მჭ—ისა, ხუთი სული, მოწამლულა ყველისაგან. მოწამლულს უბნის ექიმი სწამლობს.

*** პოლიციის მე-7 ნაწილში, 24 ივნისს, მეთევზეებმა მტკვრიდგან გამოათრიეს გვამი ტფილისის მოქალაქის ცოლის ევდუკია ვასილიევისა, რომელიც მნაცაკანოვის ხიდიდგან გადავარდნილა წყალში და დამხრჩვალა.

*** 24 ივნისს, დილის 10 საათზედ, ბაბკოვის წისქვილთან იპოვნეს გვამი მტკვარში დამხრჩვალის რაჭის მაზრის მცხოვრების ერასტი მუსერიძისა.

*** ტფილისის საკრედიტო საზოგადოების სადგომში 23 ივნისს, საჯარო ვაჭრობის დროს, ტფილისის მცხოვრებ ვასილ დიმიტრიევისათვის ვიღაც ქურდს ჯიბიდგან ამოუცლია 101 მანეთი და მიმალულა.

---

## ს. თოფურიას დასაფლავება

—

**ქუთაისი.** შაბათს, 26 ივნისს, ნაშუადღევის მეოთხე საათზედ, ქუთაისის რკინის გზის სადგური გაივსო ხალხით. ელოდნენ მატარებელს, რომელსაც უნდა მოეტანა ექიმის სამსონ თოფურიას ცხედარი. ოთხ საათზედ მატარებელი მოვიდა. აქ უცდიდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი კრებულითურთ. მიცვალებული გამოასვენეს და პროცესსია გაემართა ქალაქისაკენ. არათუ სადგურის პლატფორმა და ოთახები, არამედ მთელი მოედანი სავსე იყო ხალხით. კუბო შეამკეს ოციოდე გვირგვინით, რომელთა შორისაც ორი ვერცხლისა იყო: ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოსაგან და ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან. ქუთაისის მაღაზიები და დუქნები სულ დაკეტილი იყო ნაშუადღევის სამი საათიდან საღამოს ხუთ საათამდისინ, ე. ი. სანამ მიასვენებდნენ ცხედარს განსვენებულის ბინაზედ—სამკურნალოში. რკინის გზის სადგურიდან სამკურნალომდე ქუჩებზედ ხალხი ორთავ მხრივ იდგა.

დაკრძალვა არის დანიშნული ოთხშაბათს, 30-ს ივნისს, დილის 9 საათზედ. სამკურნალოდან მიასვენებენ საკათედრო ტაძარში, სადაც წირვასა და პანაშვიდს გადაიხდიან, და შემდეგ დაასაფლავებენ ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის გალავანში.

X.

—

სად. **ხაშური.** დღეს, 26 თიბათვეს, ახლად გარდაცვალებულის ექიმის სამსონ თოფურიას გვამი ხაშურს მოასვენეს აბასთუმნიდგან. ხაშურის სადგურზე შეკრებილიყო მრავალი პატივისმცემელი განსვენებულისა. პანაშვიდის დროს ადგილობრივმა მღვდელმა წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვა, რომელმაც ბევრი აატირა. თავის სიტყვაში მოძღვარმა მოკლედ დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა და ისურვა, რომ იმას მიმბაძველი ბევრი გამოსჩენოდეს. განსვენებულის გვამი ქუთაისს წაასვენეს.

—

ს. **ბელაგორი.** დღეს აქ დიდი საზოგადოება დაუხვდა განსვენებულ ს. თოფურიას გვამს; ვაგონ'ში ავიდა ადგილობრივი თ-დი ს. წულუკიძე და დამსწრე საზოგადოების წინაშე წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა და პატივისცემით მოიხსენია განსვენებულის მოღვაწეობა.

—

**ახალ-სენაკი.** პარასკევს, 25 ივნისს, ახალ-სენაკის წმიდა გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვლილის ჩვენის ცნობილ ექიმის ს. ბ. თოფურიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო ადგილობრივი ინტელიგენცია და მრავალი ხალხი. ექიმ თოფურიას უდროვო სიკვდილმა, როგორც ახალ-სენაკში, აგრედვე მთელს სამეგრელოშიაც, დიდი მწუხარება გამოიწვია, მით უმეტეს, რომ განსვენებული მრავალ ხელმოკლე მეგრელ ავადმყოფს შემწეობას აძლევდა...

—

«ივერიის» რედაქციას მრავალი სამძიმარი მოსდის ექიმის სამსონ თოფურიას უდროვოდ გარდაცვალების გამო. ჩვენი თანამშრომელი ბ ნი დუტუ მეგრელი გვწერს დეპეშით: «სამსონ თოფურიამ დაუახლოვა ჩვენი ერი სამეცნიერო მედიცინას. მისი უდროოდ გარდაცვალება მეტად საგრძნობელია. იმედი ვიქონიოთ, რომ ნაამაგევი და ძადლობით გამსჭვალული ქუთაისი ღირსეულად აწარმოვებს უანგარო კაცთმოყვარისაგან დაარსებულ საქმეს».

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ივნისი.

**პეტერბურგი.** გენ. ჟილინსკის დეპეშა სამხედრო მინისტრს, 26 ივნისს: «პორტ-არტურიდან მიღებულ ცნობებით, 19 ივნისს, საღამოს 9 საათზე, იაპონელთა ოთხმა ნაღმიანმა გემმა სცადა ნავსადგურში შევარდნა იმ დროს, როცა მათ ბატარეები ყუმბარებს უშენდა: ერთი მათგანი ჩაიძირა ზოლოტოი გორასთან, მეორე—ბატარეიასთან, მესამეს მოსცილდა საკვამლე, მეოთხე, 4-საკვამლიანი, უვნებლად წავიდა. მეციხოვნე ჯარი მხნედ არის. შეტაკება ყოველ დღე ხდება. ორის კვირის წინად პოლიცმეისტერმა ტაუცმა პოლიციელებით წაართვა მტერს 240 ხარი. 17 ივნისს დავიჭირეთ იაპონელთა 50 მზვერავი. ჩვენს ციხის ბატარეებს ჯერ-ჯერობით ერთხელაც არ გაუსროლიათ. სურსათი ბლომადაა. ნაღმიანი გემი «ლეიტენანტი ბურაკოვი» პორტ-არტურში დაბრუნდა, სადაც აღტაცებულ «ურა»-ს ძახილით დაუხვდნენ. საზღვრის დარაჯთა მოხსენებით, 21 ივნისს, საღამოს, ხუნხუზები თავს დაესხნენ ჩვენს მზვერავ რაზმს სადგურ სიპინგის ახლოს, სამხრეთის შტოზე, და სროლა აუტეხეს სამხედრო მატარებელს. ხუნხუზები გაფანტეს. ჩვენ ზარალი არ გვქონია. 22 ივნისს სადგურ მულანდიანიდან 2 ვერსის სიშორეზე დავინახეთ სანიშნო ცეცხლი. გაგზავნილმა რაზმმა აღმოაჩინა 15 კაცისაგან შემდგარი ხუნხუზთა ბრბო და გაჰფანტა იგი; ერთი ხუნხუზი მოვკალით და ერთი ტყვედ წამოვიყვანეთ“.

**პეტერბურგი.** გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 25 ივნისს: „24 ივნისს დილიდან ჩვენი ცხენოსანი ჯარი ნელ-ნელა უკან იწევდა ბაოსიჩაოს სიმაღლეებიდან გაიჯოუსკენ და აბრკოლებდა იაპონელთა წინსვლას, რომელთაც ზღვის პირით გაჰგზავნეს 6 ესკადრონი ჩვენის მარჯვენა ფრთის შემოსავლელად. ნაშუადღევის 2 საათზე მტრის სამმა ესკადრონმა დაიჭირა საიმაძი და აქ ჩვენის ბატარეების ყუმბარებმა რამდენსამე ხანს გააჩერეს ისინი. ნაშუადღევის 5 საათზე მტრის ქვეითა ჯარის სამმა ბატალიონმა 12 ზარბაზნით დაიჭირა სიმაღლეები ბაისიჯაოსთან, რკინის გზის ახლოს. იაპონელთა ქვეითა ჯარი გამოჩნდა მაღლობებზე, რკინის გზის აღმოსავლეთით, იულინპუმდის; ამავე დროს იაპონელთა ცხენოსან ჯარის 15 ესკადრონი გამოჩნდა სოფელ სალიაძისა, სიაოისა და ატხაიძის მხარეზე, გაიჯოუს სამხრეთ-დასავლეთით, 6 ვერსის მანძილზე, ჩვენს რაზმს, რომელიც იდგა ხეძიანტუნის ახლოს, იულინპუდან 3 ვერსის მანძილზე, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათ. მტრის ბატარეამ სროლი აუტეხა იულინპუს სამხრეთით უღელტეხილიდან და აიძულა ჩვენი რაზმი, ეძიაგოუსკენ დაწეულიყო, გაიჯოუს სამხრეთით, 6 ვერსის მანძილზე. დილის 10 საათზე მტრის ოთხმა როტამ დაიჭირა სუნშუდისია, გაიჯოუდან 14 ვერსის მანძილზე. სროლის დროს დაიჭირა ერთი ყაზახი. ამავე დროს 3 როტისაგან შემდგარმა მტრის რაზმმა დაიჭირა საღამოთი ფრანგ-კათოლიკეთა მისსია იანბუანკოუ, გაიჯოუდან 7 ვერსის მანძილზე; იმავე საღამოს იაპონელთა 5 როტამ დაიჭირა სოფელი ლუამიაფუზა, იანბუაკოუდან 9 ვერსის მანძილზე. მდინარე კანტახესა და გაიჯოუხეს მარცხენა ნაპირას, მთის ჩრდილოეთ ფერდობზე, დაინახეს მტრის დიდი ბანაკები. 25 ივნისს, ნაშუაღამევს, 2 როტისაგან შემდგარი მტრის რაზმი ეპარებოდა ჩვენს სადარაჯო რაზმებს კანტახეს მარცხენა ნაპირზე, მაგრამ აღმოჩენილ იქნა, სროლა აუტეხეს და უკუ-აგდეს. 25 ივნისს, დილის 5 საათზე, 2 დივიზიისა და ცხენოსან ბრიგადისაგან შემდგარი მტრის ჯარი წინ გაემართა კანტაოხეს ხეობის სამხრეთ ფერდობზედ. ჩვენმა მზვერავებმა ნამდვილად შეიტყეს, რომ მტრის 1—$1^1/_2$ დივიზია, უმთავრეს ჯარით, ხონძიპუძისთან იდგა, კხანზის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთად, 12 ვერსის მანძილზე; ამ ჯარის მოწინავე რაზმები იდგა უიდალინისა და ჩაპალნილის უღელტეხილებზე, კხანზიდან კანძს მიმავალ გზაზე და იუნ-გაიჯოუდან ერლდაგოუსა და სიანდიაუს გზაზე; აღმოჩნდა აგრედვე ორ დივიზიაზე მეტი იაპონელთა ჯარი ვანძიპუძასა და დალინის უღელტეხილის მხარეს.

27 ივნისი.

**დაშიცაო.** როგორც ხმა არის, დიდი ბრძოლა უნდა მოხდეს გაიჯოუსთან. გენერალი კუროპატკინი წავიდა გაიჯოუს, რათა პირადად ხელმძღვანელობა გაუწიოს მეომარ ჯარს. ჰფიქრობენ, მეტად მედგარი და სასტიკი ბრძოლა იქნებაო. დაიბარეს სასანიტარო მატარებლები. მიშჩენკოს და სიმონოვის რაზმებმა ოფიციალური ოქმები შეადგინეს, იპონელები მხეცურად ექცევიან და სტანჯავენ ტყვეებსაო. წვიმა შესწყდა; დღეს ზომიერი სიცხეა.

**ტოკიო.** (ბერლინით) ხმა არის, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული გემი «სიაოიმარუ» რუსის ესკადრამ დაჰლუპა ხოკკაიდოს ახლო.

**ხარბინი.** ვლადივოსტოკში მყოფი ანტრეპრენიორმა ივანოვმა მანჯურიის ჯარების მთავარ-სარდლის განკარგულებაში გადასცა დიდი ბოსტნები საავადმყოფოთა საჭიროებისათვის; ეს ბოსტნები ეხლა კარგა სამსახურს უწევს ჯარს. არავითარი გადამდები სენი ჯარებში არ არის. ჩინელები დამშვიდებით არიან. ჩინხეს ხიდის მიდამოებში ჩინელები საქონელს მიერეკებიან. დაპაძიაძიდან ამბავი მოვიდა, ყაჩაღთა ბრბოები შესდგა რომელსაც გზების გაფუჭება განუზრახავსო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრითურთ წაბრძანდა 26 ივნისს პეტერგოფიდან იმ ადგილებში, სადაც შორეულ-აღმოსავლეთში გასაგზავნი ჯარების დგანან.

**პერმი.** გენერალ ობრუჩევი გარდაიცვალა.

**ნოვგოროდი.** დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ხუთის ნახევარზე მოვიდა. სადგურზე მიეგებნენ გუბერნიის და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლები. ქალაქის მოურავმა და ხმოსნებმა პურ-მარილი მიართვეს. მისი უმაღლესობა პოლკის პლაცზედ წაბძანდა, სადაც ვიბორგის პოლკი დაათვალიერა; შემდეგ პლაცზე, ჯარები წინ, არქიეპისკოპოსმა გურიმ სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადა.

**პარიზი.** დელკასემ და შვეცია-ნორვე-

---

შორსა გაჰფანტა ორთოლით ხმა მისმა რახტისა ჟღერამ...
მიჰქრის, მიფრინავს, მიჭენავს, უკან მისდევს მტვერისა ბუქი,
მასზედ ჰზის ივერიელი ჭაბუკი ვინმე ჩაუქი.
აგერ უეცრად რადაცამ ჰაერში გაიკრიალა.
თურმე მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა,
მერე დამიზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვებოდა,
ხან ცხენიდანა ჰხტებოდა, ხან ზედვე შეჰფრინდებოდა.
ჰშვენოდა იგი ჭაბუკი ცხენზედა ვით ადვა რგული,
მაგრამ მე მის მეჭურეტელს ნაღვლით ამერია სული, გული...
ვსთქვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდეს?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰხედავს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!...

ი. ჭავჭავაძე.

ღამის თერთმეტი საათი იქმნებოდა, სენაკში რომ შემობძანდა მამა არქიმანდრიტი. ბეგები დიდის თავაზით და მოწიწებით ფეხზე წამოუდგნენ, მიეგებნენ მოკრძალებით და ოსმალურად სალამი უძღვნეს. მისალმების შემდეგ მიართვეს ძღვენი, ხილი და წავიდნენ ბინაზედ ღამის სათევად. რაღა მოხსენება გინდათ, რომ ბინა გამოქვაბულ სენაკში ჰქონდათ. ზედი-ზედ ძილმა გამოქვაბულ კლდეში უნებლიეთ მომაგონა ქრისტიანობის პირველი დრო. ქრისტე გამოქვაბულ კლდეში დაიბადა; პირველი ქრისტეანენი გამოქვაბულებში იკრიბებოდნენ სალოცავად და ღვთის სადიდებლად. მაშასადამე, ნათელი ქრისტესი და ის შესანიშნავი უმაღლესი საქრისტეანო ზნეობა, რომელსაც „ქრისტეანობას“ ვეძახით, ქვეყანას გამოქვაბულიდან მოევლინა. ამ გვარად გამოქვაბულს ქრისტეანობასთან დიდი კავშირი აქვს. ჩვენც, ქართველები, ძალიან ადრე გავხდით მონაწილენი საქრისტეანო სწავლა-მოძღვრებისა. ეს კავშირი ხომ არაა მიზეზი, რომ კეთილ-მორწმუნე მეფენი, მამა-შვილი, გიორგი და თამარ, დიდის გულ-მოდგინებით შესდგომიან კლდის გამოქვაბვას, ეკკლესიისა და სენაკების აშენებას? თუ ეს მოსაზრება ცოტათაც არის სიმართლეს არაა მოკლებული, მაშინ აშკარა ხდება, რომ ვარძია გამოუქვაბავთ ზეციურის მოძღვრების და საქრისტეანო სწავლის განსამტკიცებლად და გასავრცელებლად. ისიც უეჭველია, რომ წარსულში ვარძიას დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა ქრისტეანობის ჯერ გავრცელებაში და შემდეგ მის მტკიცედ შენახვაში. ხოლო ამ ჟამად აი რაა საფიქრებელი. ერთად ერთი გუშაგი ვარძიისა ღრმად მოხუცებული ბერია, რომელიც, უფალმა დიდ ხანს აცოცხლოს, მაგრამ ბუნების კანონს და ღვთის განგებას უნდა დამორჩილდეს წიაღსა შინა აბრაამისასა სამუდამო განსასვენებლად. მაშინ ვარძიის გამოქვაბულნი სამუდამოდ შეიკვრენ პირსა და მოგვესპობა გამოქვაბულიდან მოვლენილი ნათელი ქრისტესი, სწორედ ისე, როგორც მოგვაკლდა ნათელი და ნუგეში ზარზმისა, ჰუმესი, კუმურდოსი, წყაროს-თავისა და სხვანი.

იმედი მაქვს, რომ მკითხველი ადვილად მიხვდება ჩემ ფიქრთა დენას და მიმიხვდება, რომ ამ საუბრის დროს ქრისტეანობა და ეროვნობა მჭიდროდ მაქვს შეკავშირებული და განუყრელი. ძველადაც ასე იყო, დღესაც ასეა მესხეთ-ჯავახეთში. ქართველი სინონიმია ქრისტეანობისა. თუ ვარძიის უკანასკნელი დარაჯი და ჭირისუფალი მამა სიმონ მოაკლდა, მაშინვე ამჟამად უხილავი მტერი მოგვტაცებს გამოქვაბულს და, მაშასადამე, უკანასკნელი სიმბოლო ჩვენის ეროვნობისა და მასთან შესისხლხორცებულის ქრისტეანობისა გაჰქრება ამ კუთხეში.

მწარე ფიქრებით შეწუხებულმა გულწრფელად ვინატრე: ბარემ ჩამოინგრეს ეს უზარ-მაზარი კლდე, ღორღითა და ქვით ამოავსოს გამოკვეთილი სენაკი, სამუდამოდ დამარხოს წარსული ჩვენი დიდება თვის ნანგრევთა შორის, თორემ, როგორც ვხედავ, უთვისტომო მტერი თვალგაჰყეტილი თავს დაგვჩხავის და მალე დაეპატრონება უპატრონო ვარძიას და ისედაც დაავადებულს გულს უფრო ძრიელ დააავადებს. განა არა სჯობს, დაინგრეს ვარძია, ვიდრე სხვას დარჩეს? თუ ნათელი და ჭეშმარიტება, გამოქვაბულიდან აღმოხდილი, მოგვესპო, ბარემ თვით გამოქვაბულიც, ეს უტყვი მოწამე წარსულისა და სიმბოლო ჩვენის ეროვნება-ქრისტეანობისა, გაჰქრეს ვითა სიზმარი ღამისა?

დაუსრულებელი არა არის რა ქვეყანაზედ. ჩემს მწარე ფიქრებსაც ბოლო მოეღო, ამ ჟამად მაინც. შუა ღამეს აღარა უკლდა რა, მამა არქიმანდრიტის თანამოსამსახურე მოძღვარნი დაბინავებას აპირებდნენ, თვით არქიმანდრიტი კარგა ხანი იყო, რაც გამოგვემშვიდობა და წავიდა სენაკს მოსასვენებლად. ვახშამი არ უნებებია. მეც ვეპირებოდი თვალის მოტყუებას. უცებ შემომესმა ტკბილი და სასიამოვნო წმინდა ქართლური სიმღერა. გამიკვირდა, ამ მიყრუებულ ხეობაში, არდაგნის ოლქის სამზღვარზე, სადაც ქართულის სახსენებელი ლამის ამოვარდეს, რა უნდა ჩვენებურს სუფრულს? მერე რა სიმღერა! ხომ იცით დღევანდელი ლხინი ქართლ-კახეთის დღეობებში, ადამიანს აღარ გაევლება იქა. გალეშილი ლოთი ბიჭები დაეხეტებიან უგზო-უკვლოდ არღნის საზიზღარის ჭყვიტინით, მღერიან ხრინწიან, ჩახლეწილი, მამლაყინწურ ხმით კინტოურ სიმღერებს უშვერის და უაზრო სიტყვებით, ჯამბაზურად იპრანჭებიან და იგრიხებიან, ბუქნაობენ და ვირულად ტლინკებს ისვრიან. არა, ასეთი არ გახლდა, ჩემს სენაკამდის სიმღერამ რომ მოაღწია. იგი იყო დარბაისლური, სევდა-ნაღვლიანი და თან ძლიერი. სწორედ ასე მღეროდნენ ამ ოც-და-ათის წლის წინად დიდი და პატარა, თავადი, თუ გლეხი, მღვდელი და ერი. ეშმაკმა და ტარტაროზმა წაიღოს ეს უკუღმართი დრო! სიმღერისა და ლხინის შნო და ლაზათიც-კი დაგვეკარგა.

საოცრად იმოქმედა ჩემზედ სამშობლო სიმღერამ. „უცხოთა“ შორის გადაკარგულს ხშირად ემართება ესა. გულმა აღარ მომითმინა, ვეღარ გავძელ ჩამობნელებულ სენაკში და წაველ მომღერალთა დასათვალიერებლად. შუაღამისას მათი მოძებნა ადვილი არ იყო. სენაკიდან სენაკამდე გზა ვიწროა, ბევრგან ჩახრამული, კლდე ჩამტვრეული და ადვილად შეიძლება გადიჩეხო უფსკრულში. ლეპისის მამასახლისი ჩემს ახლო იყო და იმის შემწეობით მალე მივაგნ მომღერლების სენაკს. ხუთიოდ-ექვსიოდე მამა-კაცი შემოსხდომოდა ლურჯ სუფრას, შავი ჩოხები ეცვათ და პატარა კახური ნაბდის ქუდები ეხურათ. მოსუფრალთ სამი დედაკაცი დასტრიალებდა თავსა, თავშალ წაკრულები და მცირედად კაბა აწეულნი. ეტყობოდათ, ფუსფუსი გაეთავებინათ და მამა-კაცებს გვერდზე მოუსხდნენ. მოქეიფენი შეზარხოშებულიყვნენ და ბულბულივით თვითონვე სტკბებოდნენ თავიანთის სიმღერით.

გზაში მამასახლისს ვსთხოვე—ჩემი ვინაობა არ გაემხილა, თორემ გულიან საუბარს დაგვიშლიდა. ამ „გადარჯულებულს“ მხარეს მთავრობის კაცი, თუნდა ეს კაცი ადმინისტრაციის წევრი არ იყვეს, აგრე რიგად არ ეპიტნავებათ.

სალამ-ქალამის შემდეგ, სენაკში რომ შეველი, ერთმანერთის ვინაობა მოვიკითხეთ. დიდ-თონელები აღმოჩნდნენ, ტფილისის მაზრიდან, ანუ ძველებურად რომ ვსთქვათ, საბარათიანოდან. დიდათ გაეხარდათ, როცა შეიტყეს, რომ კოტე ყავრიშვილის ნაცნობი ვიყავი. ამ ნაცნობობამ ისე დაგვაახლოვა, თითქო განუშორებელი მეზობლები ვყოფილიყავით.

— აქ რამ გაგაჩინათ, ვარძიას როგორ მოხვედით? ნუ თუ საბარათიანოდან განგებ წამოხვედით სახლობით სალოცავად?

— არა, ბატონო, განგებ იმ სიშორიდან ვინ წამოვიდოდა. ცხვარი აქ ახლოს გვიყენია, ჩალდირში, არდაგანის ოლქში. პასკევიჩმა გვიბოძა საძოვარი ადგილი და ყოველს ზაფხულს ცხვარი ამოგვიდის საბალახოდ. რაკი ასე ახლო ვდგევართ, ვარძიას ჩამოვდივართ ხოლმე ღამის სათევად ამ ბედნიერს დღეს.

ა. ფურცელი.

გის ელჩმა ხელი მოაწერეს ხელ-შეკრულობას, მსგავსად იმ ხელ-შეკრულობისა, რომელიც დადებული აქვთ ინგლისსა. იტალიასა და ნიდერლანდიას.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრესს შტაბს, 26 ივნისს: 1, «25 და 20 ივნისს ჩვენი რაზმი სადგურ გაიჯუსთან იყო და შეკრული ჰქონდა მდინარე კანტახეს მარჯვენა ნაპირი. მტერს ეჭირა მდინარის მარცხენა ნაპირი. ჩვენი ბატარეია რკინის გზის ხიდიდან ესროდა მდინარე კანტარეს ხეობაში გამოსულს მტერს. 12 საათი იქნებოდა, რომ ჩვენს როტასა და მტრის რაზმს შორის სროლა გაჩნდა; მტერმა დაიწია; ჩვენ დაგვიჭრეს 6 ჯარის-კაცი. 25 საღამოთი, გაიჯოუს პირისპირ, ნაპირიდან-საფრანგეთის კათოლიკეთა მისსიამდე გამოჩნდა ესე ოთხი დივიზია და ცხენოსანთა ბრიგადა მტრისა. 26 ივნისს გათენებისას მტერის კვლავ წამოვიდა ჩვენი რაზმის არიერგარდის წინააღმდეგ, რომელიც დილის შვიდის ნახევარ საათზე გავიდა გაიჯოუდან ოთხ ვერსზე ჩრდილოეთად შანლუნსის გადასავალის სიმაგრისაკენ. 10 საათზე მტერი ძლიერად მოაწვა და ჩვენი არიერგარდი წავიდა მახუნცუიცისა და იაოლინცისაკენ, 5 ვერსზე ჩრდილოეთად შუანლუნის გადასავლიდან. ამ სიმაგრეზე არიერგარდმა გაუძლო მტრის დიდს ძალას დღის მეორე საათამდე და მერე, რაზმის უფროსის ბრძანებით, სრულის წესიერებით წავიდა მესამე სიმარგისაკენ, იმ დროს, როცა ჩვენი უმთავრესი ძალა გროვდებოდა დაჩაპუსთან. მახუნცუაცის პოზიციის მტერი მთელი ორი საათი ესროდა განუწყვეტლივ ზარბაზანსა, მაგრამ ჩვენ ბატარეა ჩინებულად გაუმკლავდა და თითქმის უზარალოდ დაიწია. ჩვენის მარჯვენა ფრთედან საცხენო ბატარეია ესროდა იაპონიის ბატარეიას, რომელიც იდგა სანგოიშთან რკინის გზის ახლო. ამ დროს მტრის ცხენოსანი ჯარი მძიმედ მიდიოდა წყლის პირისპირ ინკოუსკენ. ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ, როგორც რაზმის უფროსი ამბობს, დახოცილ-დაჭრილი 150 კაცამდეა. მოჰკლეს გენერალურ შტაბის კაპიტანი გრაფი ნიროდი, რომელიც მიდიოდა პოზიციიდან შემდეგ იმისა, როცა მან ჩინებულად შეასრულა უფროსობა არიერგარდის შტაბისა“. 2) ხორუნჟი ვერხნეუდინსკის პოლკისა სეკრეტოვი გულიანზსა და ალოუტუნს შუა, სეძიხოს ხეობაში, 4 ვერსზე სიუანის ჩრდილოეთად, 24 ივნისს ჩაუსაფრდა იაპონიის ნახევარ ესკადრონს და მიუშვა ისინი 300 ნაბიჯზე. იაპონელებს მოუკლეს ერთი აფიცერი, 11 დრაგუნი მოუკლეს და დაუჭრეს, ერთი დრაგუნი ტყვედ წავიყვანეთ. 24 ივნისს მცირე ჯარით წამოვიდნენ მდინარე ტაიციხეს ხეობაში სიაოსირუსაკენ და ერთის როტით და ერთის ესკადრონით დაიჭირეს ძიანჩანი.

28 ივნისი.

**ლიაოიანი.** 10 დღეს ლიაოიანი წყალისაგან იყო დაფარული. თქეშმა და განუწყვეტელმა წვიმებმა გზა ტბებად გადააქცია, გზები სრულებით გადარეცხა და მოგზაურობა ძალიან გაჭირდა. ურმები და სხვა გვარი ეტლები გაჭირვებით მიდი-მოდიან. ქვეითი ხალხი გადადიან ცხენებით და ჩინურის მაღალ ურმებითა. თუმცა იაპონელნი დაახლოვდენ, მაგრამ ლიაოიანის ჩინელი მცხოვრებნი სრულიად მშვიდობიანად არიან და ვაჭრობასა და ხელობას თავს არ ანებებენ. ძველებურად ყოველ დღე ქალაქის ბაღში საღამოობით სამხედრო მუსიკა უკრავს. ლიაოიანს შესვლა სასტიკად აღკრძალულია და იმ პირებს ეძლევა ნება, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ ლაშქართან. საეჭვო ხალხს, რომლებიც აქ საშოვრად მოსულან და საქმე არა უჭირავთ-რა ხელში, გზავნიან უკან. რადგანაც აქ გაჭირვებით იშოვება ყველაფერი, სასურველია ისეთივე უხვი შემოწირულება გამოუგზავნონ ჯარის კაცებს, როგორც სააღდგომოდ მოსდიოდათ. უფრო სასურველია გამოუგზავნონ საცვლები, ხელსახოცები, პირსახოცები, ჩაი, შაქარი, საპონი, წინდები, ჩულქები, ნემსები, ძაფი, ღილები, თამბაქო, პაპიროსი, ფოსტის ქაღალდი, ღია წერილები, ყარანდაშები, სუხარი, ბისკვიტები, შოკოლადი.

**ნოვგოროდი.** დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ ნახა სოფიის ტაძარი და გასინჯა ცეცხლის მქრობელი რაზმი, მერე წაბძანდა არაკჩეევის ყაზარმებში. საღამოთი მისი უმაღლესობა ქალაქს დაბრუნდა.

**ლიაოიანი.** გენერლები მიშჩენკო და სიმონოვი ამოწმებენ იმ ფაქტს, რომ იაპონელნი მხეცურად ეპყრობიან რუსთა დაჭრილებსაო. იაპონელთა მხეცურ საქციელის შესახებ ოქმზე ხუთმა ექიმმა მოწერა ხელი. 29 მაისს, ღამის ბრძოლაში, გენერალ სიმონოვის რაზმიდან 4 მსროლელი იპოვეს: იაპონელებს დაეხოცნათ და შეურაცხეყოთ იმათი მკვდარი გვამები, რომელიც ხიშტებით დაეხვრიტათ.

**მოსკოვი.** მეორე სამხედრო-სასანიტარო მატარებელი აკურთხეს. მატარებელს მთელის წლის საზრდო აქვს; 150,000 მანეთი სახარჯოდ მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზის საზოგადოებამ იკისრა. დღეს მიძინების ტაძარში, წირვის შედეგ, მიტროპოლიტი ჯვრით გავიდა წითელ მეიდანზე და გარდაიხადა პარაკლისი, რომ რუსეთის მხედრობას მიენიჭოს ძლევამოსილობა; პარაკლისები გადაიხადეს მოსკოვის ეპარქიის ყველა ეკლესიაში.

**მოსკოვი.** დღეს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა კოლომნასთან შეკრებილი ჯარი. საიმპერატორო მატარებელი კოლომნას მოვიდა დილის 8 საათსა და 30 წუთზედ. სადგური მორთული იყო, სადაც დაუხვდნენ გუბერნატორი, თავად-აზნაურობისა, ქალაქისა, ერობისა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი. ხელმწიფე იმპერატორთან ერთად მობრძანდნენ ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე. ხელმწიფე იმპერატორი ჯარს ათვალიერებდა და სალამს აძლევდა. ხელმწიფე იმპერატორმა მუხლ-მოდრეკილ აფიცრებს ხატით ჯვარი გადასწერა, ხატი კომანდირებს ჩააბარა და დალოცა თავის და ხელმწიფა იმპერატრიცის სახელით. ხელმწიფე იმპერატორი ყაზანის გზით წაბრძანდა. ხალხი აღტაცებული იყო.

**ლიაოიანი.** ნაღმოსანმა „ლეიტენანტ ბურაკოვმა“ კარგი ცნობები მოიტანა ინკოუს პორტ-არტურის შესახებ. ნაღმოსანი შემდეგ პორტ-არტურს დაბრუნდა. მეციხოვნენი მოუმენლად ელიან ბრძოლას. სამხრეთის რაზმში ყაზახებს საგმირო საქმე ჩაუდენიათ: ჩაჰსაფრებიან მტრის ბატალიონს, მერე თოფი დაუშენიათ. ხელდახელ შეჰბმიან და გაუდევნიათ. 20 მოკლულია და 60 დაჭრილი. ავდრიანი ხანა ჯერ არ დამდგარა. ხუთი დღე შემთხვევით იყო ავდრიანი. ჩრდილოეთიდგან ჯარი განუწყვეტლივ მოდის.

**ლიაოიანი.** იაპონელები საჩქაროდ ამაგრებენ უღელტეხილებს, რომლებიც იმათ დაიჭირეს. ეს ამტკიცებს, რომ იქ გაჩერებას აპირობენ და მხოლოდ მოგერებას სცდილობენ, ამიტომ მოსაფიქრებელი არ არის, რომ მუკდენზედ გაილაშქრონ, როგორც აქამომდე მოელოდნენ.

**ლიაოიანი.** ჯაშუშები ამბობენ, იაპონელები ბრძოლის წინად მათრობელ სასმელებსა სვამენ გასამხნევებლად.

**ჩიფუ.** (რეიტ. სააგ.). პორტ-არტურიდგან მოსული ჩინელები ამბობენ, იაპონელთა მოწინავე ჯარი პორტ-არტურს დაუახლოვდაო და ქალაქიდგან 6 მილის სიშორეზედ არისო. რუსეთ-ჩინეთის ბანკის მოხელენი აქ მოვიდნენ 26 ივნისს. ისინი ამბობენ, ქალაქში ცვლილება არა მოუხდენიათ-რაო. წარსულ კვირას ციხიდგან 7 მილის მანძილზედ განუწყვეტლივ ბრძოლა იყო. ნავოსნები ამბობენ, 26 ივნისს პორტ-არტურის მაღლობიდგან ზარბაზნის სროლა ისმოდაო.

**სეული.** (რეიტ. სააგ.). ბრონდმა მიიღო დეპეშა, რომლითაც აცნობებენ, რომ გემი «ჩელტენჰემი» შეპყრობილ იქმნა ხაკოდატეს მახლობლადაო. ეს გემი ჩემულპოდგან წამოვიდა 31 მაისს, გადმოიტანა საქონელი და როდესაც ბრუნდებოდა იაპონიაში, სწორედ მაშინ შეიპყრეს რუსეთის სათარეშო გემებმა.

**ტიანძინი.** («რეიტ. სააგ.»). ტიანძინში მყოფი გერმანიის აფიცრები ჰფიქრობენ, რომ რუსების პოზიციების—ხაიჩენისა და ლიაოიანის—შემაგრება შეუძლებელია, რადგანაც იაპონელები სამის მხრიდგან ძლიერად აწვებიანო. აფიცრების აზრით, გენერალი კუროპატკინი უკან დაიწევს. ეს აფიცრები წინასწარმეტყველობენ აგრედვე, რომ პორტ-არტურს უთუოდ დაიპყრობენ იაპონელებიო.

**შანჰაი.** («რეიტ. სააგ.»). პორტ-არტურის მეციხოვნენი გამოვიდნენ ციხიდან აღმოსავლეთის მხრით და მტერს სამი ზარბაზანი წაართვეს. ტყვედ წამოიყვანეს აგრედვე 80 კაცი.

**ტოკიო.** ოფიციალურად. გენერალი ოკუ იუწყება, მეორე ლაშქარმა 23 ივნისს მიჰყო ხელი გაიჯოუს აღების საქმესა. იაპონიის ჯარებმა 26 ივნისს დაიჭირეს გაიჯოუ და მახლობელი სიმაღლეები.

**ტოკიო.** («რეიტ. სააგენ.»). პარასკევს, ღამით, ელვა-ჭექის დროს, ნაღმოსანთა ფლოტილია ტოგოს ესკადრისა მიუახლოვდა პორტ-არტურს გათენებისას; ერთმა ნაღმოსანმა შენიშნა სათარეშო გემი «ასკოლდი» და იერიში მიიტანა. იერიშის შემდეგ ჯერ არ არის ცნობილი. იაპონელთა ორი უნტერ-აფიცერი მძიმედაა დაჭრილი.

**შანხაი.** («რეიტ. სააგ.»). 26 ივნისს, პორტ-არტურის ესკადრა ზღვაში გავიდა. ესროლეს ერთმანეთს იმათ და იაპონიის სადარაჯო გემებმა, და ისევ უკან დაბრუნდნენ ნავსადგურში.

**ჩიფუ.** («რეიტ. სააგ.»). პორტ-არტურიდგან ლტოლვილნი იუწყებიან, აღმოსავლეთის მხრივ იაპონიის დივიზიას ფლოტის შემწეობით დაოყოვნებლივ ბრძოლა აქვს, რომ დაიჭიროს ის პოზიცია, რომელიც ქალაქს გადასცქერია. იაპონიის ფლოტი შეუწყვეტლივ ესვრის ქალაქს ყუმბარებსა. კერძო სახლები საავადმყოფოებად გადააკეთეს. ქალაქის ჩრდილოეთად მხოლოდ მცირე შეტაკება იყო. იაპონიის ფლოტი ესროდა ფორტებს 19, 20 და 21 ივნისსა, მაგრამ ზარალი კი არ მიუყენებია.—ერთის რუსის სიტყვით, იაპონელებმა ღამე 23 ივნისს დაიჭირეს დაგუშანის მთის მწვერვალი და დასდგეს ბატარეიები.—სათარეშო გემი «ნოვიკი» ოთხის ნაღმოსნით 24 ივნისს ნავსადგურიდან გავიდა. ამ გემებმა ყუმბარები ესროლეს იაპონიის ბატარეიას, რომელსაც ამავე დროს გარს შემოერტყა რუსის ქვეითა ჯარი და აიღეს.—რუსები ამტკიცებენ, რომ იაპონელებს, სულ უკანასკნელი ათი ნაღმოსანი დაეღუპათ, როცა უნდათ რუსის სადარაჯო გემებთან მისვლა შიდა რეიდზე. ეს გასავალი ოქროს მთასთან თავისუფალია; დანარჩენი ნაწილი გასავლისა ჩახერგილია, ასე რომ ნაღმოსნები ვერ გაივლიან. ზოგიერთი იაპონელთა ნაღმოსნების იერიში სწორედ ფანატიკური იყო; ნაღმოსნები გარბიან იქით, სადაც არაფრის გაკეთება არ შეიძლება; გემების დაღუპვის დროს, იმათი კამანდა გადარჩენაზე უარს ამბობს. იაპონიის მეზღვაურნი გაიპობენ ხოლმე მუცლებსა და ხელს ჰკრავენ იმათ. ვისაც იმათი გადარჩენა უნდათ.

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი სერგი მიხეილის ძე 27 ივნისს პეტერბურგიდან სამარს წავიდა.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა.**

25 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | 46,00 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,55 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92½ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 87¾ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 384 ნის. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 300 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 263 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფ. ილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან— 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორეგ ამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—4)

---

ტფილისის ქალაქის
**გამგეობა**

აცხადებს, რომ 28 თიბათვისათვის, დილით, 12 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემათ რიყის ექსპლუატაციისა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ სიპის ქვისა და ქვიშის ამოსაღებად. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში დილის 10 საათიდამ 1 საათამდე, საქმის დღეებში. (2—6—2)

---



ამერიკის
**ავტომობილები**
ბენზინით მოძრავი
**ველოსიპედები**
ბენზინის მატორებით.

**Акц. О-во „ЭНФИЛЬД“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.**

СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).

---

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и К°

Одеколонъ
„Кристаль“

---



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**Б. М. МИРИМАНЦАНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—5)